1960

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 22 (120) 10 დეკემბერი 1960 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

212. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ
213. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ესტონეთის სსრ სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ.
214. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხანაგ ე. ა. ფურცევას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

215. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების მომდინარეობის შესახებ.
216. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების თაობაზე“ კანონის განხორციელების მომდინარეობის მესახებ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

217. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და [illegible] ლური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

218. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მშრომელთა დეპუ-ტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვე-ტილებათა კანონიერების შესახებ.

219. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ქალაქ-კუროორტ წყალტუბოს საზღვრების დამტკიცების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

212 სსრ კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის თაობაზე ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული და სარატიფიკაციოდ წარმოდგენილი ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ, ხელმოწერილი მოსკოვში 1960 წლის 22 ივნისს, **რატიფიცირებულ იქნას.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 19 ნოემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

213 ესტონეთის სსრ სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის საკანონმდებლო აქტების ძალადაკარგულად ცნობის შესახებ

ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სასამართლო წყობილების თაობაზე კანონის მიღებასთან დაკავშირებით შესაბამისად სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონისა „მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოთა მოწყობის კანონმდებლობის, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსების მიღების მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობისათვის მიკუთვნების შესახებ“ და სსრ კავშირის 1958 წლის 25 დეკემბრის კანონისა „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების თაობაზე კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დადგინდეს, რომ სსრ კავშირის ქვემონაჩვენები საკანონმდებლო აქტები ძალადაკარგულად ჩაითვლება ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რესპუბლიკის სასამართლო წყობილების შესახებ კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან:

1. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები,

1948 წ., № 31) იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინურ პასუხისმგებლობას;

2. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო და საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1954 წ., № 17);

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 4 აგვისტოს ბრძანებულება „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოების და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1956 წ. № 16);

4. სსრ კავშირის 1957 წლის 11 თებერვლის კანონი „სამხარეო, საოლქო სასამართლოების უფლებათა გაფართოებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოებთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების იუსტიციის სამინისტროთა სამმართველოების გაუქმების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 4);

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 17 აგვისტოს ბრძანებულება „მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხარეო, საოლქო სასამართლოებისა და ავტონომიური ოლქების სასამართლოების შემადგენლობაში პრეზიდიუმების შექმნის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1954 წლის 14 აგვისტოს ბრძანებულებაში და „სასამართლოთა პრეზიდიუმების მიერ საქმეების განხილვის წესის თაობაზე“ 1955 წლის 25 აპრილის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1957 წ., № 17) გარდა ამ ბრძანებულების 2 მუხლისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 3 დეკემბერი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

214 ამხანაგ ე. ა. ფურცევას ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის კულტურის მინისტრის ამხანაგ ე. ა. ფურცევას დაბადების ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით და კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წი-

ნაშე მისი დიდი დამსახურების აღსანიშნავად ამხანაგი ეკატერინე ალექსის ასული ფურცევა დაჯილდოებულ იქნას ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1960 წლის 6 დეკემბერი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება მეორე

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

215 საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების უმრავლესობამ დროულად დაიწყო სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადება და არჩევნების ორგანიზაციის სამუშაოები დებულების სრული შესაბამისობით მიმდინარეობს. დაწესებულ ვადებში შეიქმნა საარჩევნო უბნები და დამტკიცდა სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საუბნო საარჩევნო კომისიები, ადგილობრივი საბჭოები და საუბნო საარჩევნო კომისიები მომარაგებული არიან არჩევნებისათვის საჭირო დოკუმენტაციის ბლანკებით, სათანადო ინვენტარითა და საარჩევნო ლიტერატურით. მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ტარდება სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნებისადმი მიძღვნილი მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებები.

ამასთან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების საქმეში მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს გააჩნიათ სერიოზული ნაკლოვანებანი.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთმა რაიონულმა და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დაგვიანებით შექმნეს სახალხო სასამართლოების არჩევნების საარჩევნო უბნები. ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო უბნები დაამტკიცა მიმდინარე წლის 26 ნოემბერს, მაშინ, როდესაც დებულებით 23 ნოემბრამდე უნდა დაემტკიცებინა. საარჩევნო უბნების შექმნა დააგვიანა აგრეთვე ლენტეხის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ბოლნისის, მარნეულის, გორის, თერჯოლის, ხობისა და ზოგიერთი სხვა რაიონების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო უბნები ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის მოწყობილი და გბფორმიბული, არ წარმოებს მორიგეობა საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრებისა და აქტივისტებისა, ყველა საარჩევნო უბანსა, კლუბებსა და სამკითხველოებში საკმაო რაოდენობით არ მოეპოვებათ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებები და სხვა საარჩევნო ლიტერატურა. რიგ რაიონში დაგვიანებით დაიწყეს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საერთო კრებებზე საუბნო საარჩევნო კომისიებში ასარჩევ პირთა წამოყენება, რის გამოც დებულებით გათვალისწინებული ვადისათვის, 28 ნოემბრისათვის, ყველგან არ იყო დამთავრებული მათი დამტკიცება.

ზოგიერთმა სასოფლო საბჭომ საყოველთაო გაცნობისათვის გამოაკრა დაუდევრად შედგენილი, არაზუსტი სიები, მაგალითად, კასპის რაიონის, გომის, მეტეხის, ახალქალაქის და იგოეთის სასოფლო საბჭოების ამომრჩეველთა სიებში შეტანილ 1942 წელს დაბადებულ მოქალაქეებს არ ეწერათ დაბადების თვე და რიცხვი, ხოლო ზოგიერთ მოქალაქეს სახელი და მამის სახელი. გომის საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა სიაში შეტანილია მოქალაქე ყორბესაშვილი, რომელსაც არ უწერია სახელი და მამის სახელი, ხოლო მარო ბერიაშვილს არ უწერია მამის სახელი და დაბადების წელი.

ამომრჩეველთა სიები სწორად არ არის შედგენილი აგრეთვე ქ. თბილისის კიროვის, სტალინისა და კალინინის სახელობის რაიონების ზოგიერთ საარჩევნო უბნებში.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში დროულად არ დაიწყეს სახალხო სასამართლოების მსაჯულთა არჩევნები, რის გამოც დღეისათვის რესპუბლიკაში ასარჩევ 10.800 მსაჯულიდან არჩეულია მხოლოდ 1.800 მსაჯული.

„საქწინგნის" საქართველოს რესპუბლიკური განყოფილებისა და კავშირგაბმულობის ორგანოების მიზეზით დაგვიანდა სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებისა და საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმების მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებისათვის ჩაბარება. მაგალითად, მესტიის რაიონში მიმდინარე წლის 16 ნოემბერს მიღებული არჩევნების დებულებები დანიშნულებისამებრ ჩაბარეს 24 ნოემბერს, 18 ნოემბერს თბილისიდან გაგზავნილი მასალები გორის რაიონში მიღებულ იქნა 21 ნოემბერს, მცხეთის რაიონში 21 ნოემბერს მიღებული მასალები რაიაღმასკომს ჩაბარეს 25 ნოემბერს, ხოლო ლენტეხის რაიონში 22 ნოემბერს მიღებული საარჩევნო მასალები პირველი დეკემბრისათვის ჩაბარებული არ ჰქონდა რაიონის საბჭოს აღმასკომს.

რესპუბლიკის ყველა რაიონში კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საარჩევნო უბნებს ჯერ კიდევ არ დაუწყიათ მოსახლეობაში ახსნა განმარტებითი მუშაობა.

შემოწმებული რაიონების ზოგიერთი საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილი არ არის გამბობა-განათებით და სატელეფონო კავშირით. საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტროს 26 ნოემბრის მდგომარეობით მითითება არ

ჰქონდა მიცემული კავშირგაბმულობის რაიონული და საქალაქო კანტორებ-სათვის არჩევნებთან დაკავშირებით მათი მუშაობის გარდაქმნის შესახებ.

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარების მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დავალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) გაძლიერონ მუშაობა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების მზადებისათვის, მიიღონ ზომები რათა სახალხო მოსამართლეთა არჩევნების საარჩევნო უბნები უზრუნველყოფილ იქნან საარჩევნო დებულებითა და საარჩევნო დოკუმენტაციის ფორმებით და სხვა საარჩევნო და პოლიტიკური ლიტერატურით;

ბ) კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და რაიონული და ძირეული პრესის საშუალებით გააჩაღონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა არჩევნების დებულების, სსრ კავშირის კონსტიტუციისა და საბჭოთა დემოკრატიზმის ძირითადი პრინციპების საკითხებზე. ამასთან ფართოდ გააცნონ ამომრჩეველს სახალხო მოსამართლეობის წამოყენებული და რეგისტრირებული თვითეული კანდიდატის პიროვნება და მისი შრომითი საქმიანობა;

გ) საარჩევნო უბნებში შემოიღონ საუბნო-საარჩევნო კომისიების წევრებისა და აქტივისტების ყოველდღიური მორიგეობა, მათი საშუალებით უზრუნველყონ ამომრჩეველთა შეკითხვებზე დროული და სრულყოფილი პასუხის გაცემა;

დ) ქმედითი დახმარება გაუწიონ საუბნო საარჩევნო კომისიებს მუშაობაში, დაეხმარონ მათ ფუნქციების განაწილებაში, მისცენ სათანადო ინსტრუქტაჟი ხმის მიცემის ოქმებისა და სხვა საარჩევნო დოკუმენტების სწორად შევსების შესახებ, მიაღწიონ იმას, რომ ყველა საარჩევნო უბანი უზრუნველყოფილი იყოს გათბობა-განთებით, სატელეფონო კავშირითა და არჩევნების დღისათვის აუცილებელი მოწყობილობით. ამასთან მთის სოფლებში არსებულ საარჩევნო უბნებთან ამინდის ყოველგვარ პირობებში კავშირის დამყარების მიზნით შექმნან ახალგაზრდული ჯგუფები და მოამარაგონ ისინი საჭირო ხელსაწყოებითა და ტრანსპორტით;

ე) დაუყოვნებლივ გამოასწორონ ამომრჩეველთა სიებში დაშვებული შეცდომები; ამომრჩეველთა სიებში შეიტანონ სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრები 18 წლის ასაკის ყველა მოქალაქე, დააზუსტონ იმ ახალგაზრდა ამომრჩეველთა დაბადების თვე და რიცხვი, რომელთაც არჩევნების დღისათვის უსრულდებათ 18 წელი და შეიტანონ ისინი ამომრჩეველთა სიებში;

ვ) დროულად დაამთავრონ სახალხო მოსამართლეობის ყველა კანდიდატის რეგისტრაციაში გატარება და 6 დეკემბრამდე უზრუნველყონ ადგილობრივ პრესაში მათი მონაცემების გამოქვეყნება;

ზ) დროულად დაბეჭდონ და დებულებით გათვალისწინებულ ვადებში ჩაბარონ საარჩევნო უბნებს საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენები;

თ) გულდასმით მოამზადონ სახალხო სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისადმი მიძღვნილი მუშათა, მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა კრებები, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ მსაჯულთა შემადგენლობაში არჩეულ იქნან პატიოსანი და ავტორიტეტიანი მუშაკები, რომელთაც გააჩნიათ პრაქტიკული მოღვაწეობის მრავალმხრივი გამოცდილება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის მინისტრს ამხ. გ. ა. ქრისტესაშვილს უზრუნველყოს კავშირგაბმულობის ძირეული კანტორებისა და საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგურების შეუფერხებელი მუშაობა არჩევნებთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1960 წლის 30 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

216 „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების თაობაზე“ კანონის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

მოისმინა რა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილის მოხსენება და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის ამხ. რ. რ. დვალის თანამოხსენება „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების თაობაზე“ კანონის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ, სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს ამ კანონის ცხოვრებაში განხორციელების უზრუნველსაყოფად.

გატარებული ღონისძიებების შედეგად მოსწავლეთა კონტინგენტის სწავლებაში ჩაბმის სახალხო-სამეურნეო გეგმა მთლიანად შესრულდა ქ. ქ. თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, გორში და აბაშის, გურჯაანის, საგარეჯოს, თეთრიწყაროს, თელავისა და სხვა რაიონებში.

საყოველთაო სავალდებულო შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან განათლებაზე გადასვლის განსახორციელებლად 109 შვიდწლიან სკოლასთან გაიხსნა მერვე კლასები.

გაფართოვდა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების ქსელი. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში დამატებით გაიხსნა მუშა-ახალგაზრდობის 17 საშუალო სკოლა; მუშა-ახალგაზრდობის დაუსწრებელი სკოლები გაიხსნა ქ. ქ. ბათუმში, სოხუმში, ქუთაისში, ახალციხესა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწარმოო სწავლებაზე გადაყვანილია 453 საშუალო სკოლის (მათ შორის ქალაქად 184, სოფლად 269) IX და X კლასების 16.203 მოსწავლე, რომლებიც 80-მდე სხვადასხვა პროფესიას ეუფლებიან. ეს სკოლები უზრუნველყოფილია სათანადო სასწავლო-საწარმოო ბაზებითა და სასწავლო პროგრამებით. საწარმოო სწავლების განხორციელების საქმეს სათანადო გულისხმიერებით მოეკიდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო. მთელ რიგ საწარმოებში — ქ. თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა № 7 სამკერვალო ფაბრიკა, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკა, სართავ-სატრიკოტაჟი კომბინატი, სტალინის სახელობის რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ორჯონიკიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, ბათუმის გემთმშენებელი ქარხანა, ტყვარჩელის მექანიკური ქარხანა, სტალინირის ელექტრო-ვიბრო-მანქანების ქარხანა, გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატი, ზუგდიდის ინგურის ცელულოზისა და ქაღალდის კომბინატი და სხვა — მოწყობილია სასწავლო საამქროები. მოსწავლეთა თეორიული სწავლებისათვის გამოყოფილია ცალკე საკლასო ოთახები, რომლებიც უზრუნველყოფილია საჭირო დგამ-ავეჯით, სასწავლო ინვენტარით, თვალსაჩინო მასალებითა და სხვა მოწყობილობით. აღნიშნულ საწარმოებში მოსწავლეები წარმატებით ეუფლებიან პროფესიებს, ქმნიან პროდუქციას და სათანადო ანაზღაურებასაც ღებულობენ.

რესპუბლიკის რიგ ქალაქებსა და რაიონებში მოწყობილია სასკოლათშორისო და სასკოლო საწარმოო სახელოსნოები.

ლანჩხუთის, თელავის, მახარაძისა და თეთრიწყაროს რაიონების ზოგიერთმა სკოლამ საწარმოო სწავლებისათვის შექმნა საკუთარი ბაზები.

სპეციალისტ-მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების მიზნით მოეწყო კურსები და ჩატარდა სემინარები.

განათლების სამინისტროში შექმნილია საწარმოო სწავლების განყოფილება. პედაგოგიურ მეცნიერებათა და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში შექმნილია საწარმოო სწავლების სექტორები, რომლებიც პრაქტიკულ და მეთოდურ დახმარებას უწევენ საწარმოო სწავლების საგნების მასწავლებლებს.

დიდი მუშაობაა ჩატარებული რესპუბლიკაში სკოლების ერთცვლიან მეცადინეობაზე გადასაყვანად. სიღნაღის რაიონში მიმდინარე წლის ზაფხულის პერიოდში სკოლებს მიაშენეს 98 საკლასო ოთახი და ყველა სკოლა გადაიყვანეს ერთცვლიან მეცადინეობაზე. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა ჩოხატაურის, ქობულეთის, ზუგდიდის, მახარაძის, გორის, ლანჩხუთისა და რიგ სხვა რაიონებში.

გარკვეული მუშაობაა გაწეული სკოლა-ინტერნატების ქსელის გაფართოებისა და აღსაზრდელთა კონტინგენტის გეგმის შესრულების საქმეში. სახალხო მეურნეობის გეგმით მიმდინარე სასწავლო წელს რესპუბლიკაში უნდა ყოფილიყო 42 სკოლა-ინტერნატი 10.000 აღსაზრდელით, ფაქტიურად პირველი სექტემბრისათვის რესპუბლიკაში იყო 40 სკოლა-ინტერნატი 10.097 აღსაზრდელით.

მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა სკოლებში სასწავლო სახელოსნოების, ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის, მანქანათმცოდნეობისა და ელექტროტექნიკის კაბინეტების შევსებისა და მოწყობისათვის. დამატებით მოეწყო ახალი კაბინეტები და სახელოსნოები: ფიზიკის კაბინეტი — 100 სკოლაში, ქიმიისა — 49 სკოლაში, ლითონისა და ხის დამმუშავებელი სახელოსნოები — 423 სკოლაში.

მწარმოებლურმა შრომამ ხელი შეუწყო სწავლების დონის ამაღლებას და მოსწავლეთა შეგნებული დისციპლინის განმტკიცებას.

ამასთან ერთად უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის განხორციელების საქმეში ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს.

ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში ზუსტად არ ხორციელდება საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონი. ამის შედეგად ბავშვთა მნიშვნელოვანი რაოდენობა დარჩენილია სკოლის გარეთ. სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ I—VII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტს დააკლდა აფხაზეთის ასსრ-ში — 343, აჭარის ასსრ-ში — 717, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 655, მარნეულის რაიონში — 512, წალენჯიხის რაიონში — 403, თეთრიწყაროს რაიონში — 422, ცაგერის რაიონში — 346, წალკის რაიონში — 207, ახალქალაქის რაიონში — 250, მცხეთის რაიონში — 198, ხობის რაიონში — 203, ლაგოდეხის რაიონში — 170, საჩხერის რაიონში — 193, წითელწყაროს რაიონში — 184, ახალციხის რაიონში — 106, ონის რაიონში — 100, წყალტუბოს რაიონში — 144, ტყიბულის რაიონში — 98 ბავშვი და სხვ. სულ რესპუბლიკაში 5.694 ბავშვი. აღნიშნულ რაიონებში სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვა არ წარმოებს ბავშვთა და მოზარდთა აღრიცხვის შესახებ არსებული ინსტრუქციის შესაბამისად.

რიგ რაიონებში თანმიმდევრულად არ ტარდება ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა კონტინგენტის შესანარჩუნებლად.

ბევრგან არ არის შექმნილი საყოველთაო სწავლების ფონდი ხელმოკლე მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების გასაწევად. ზოგიერთ სკოლა-ინტერნატში არ არის შექმნილი ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობები; ან არის მოგვარებული სკოლებიდან დაშორებით მცხოვრები ბავშვების მიყვანა სკოლაში და სკოლიდან წაყვანა უფასო ტრანსპორტით.

ჯერ კიდევ ბევრი სკოლა მოთავსებულია შეუფერებელ შენობაში. რესპუბლიკის 2.185 სკოლა შეგუებულ შენობაშია მოთავსებული, ხოლო 500 სკოლა — დაქირავებულ შენობაში. საკუთარ შენობათა უქონლობისა და საკლასო ოთახების სიმცირის გამო რესპუბლიკის 4.253 სკოლის 649.724 მოსწავლიდან მეორე ცვლაში მეცადინეობს 1.319 სკოლის 179.326 მოსწავლე, ხოლო მესამე ცვლაში — 16 სკოლის 2.609 მოსწავლე. თბილისში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში სასკოლო შენობებში ჯერ კიდევ გარკვეული ფართობი უკავიათ მობინადრეებს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სამცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციისათვის გამოყოფილი თანხების ათვისება. ამ მიზნისათვის განკუთვნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი თანხებიდან ქ. თბილისში ათვისებულია 53 პროცენტი, ქ. ფოთში მხოლოდ 6 პროცენტი.

არ სრულდება სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებების შშენებლობის გეგმა. მიმდინარე წლის 10 თვეში გეგმით გათვალისწინებული 93.390 ათასი მანეთის ნაცვლად ათვისებულია 75.887 ათასი მანეთი, ე. ი. გეგმა შესრულებულია 81,2 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩება ჭიათურის რაიონის ზოდის, საჩხერის, ჩხოროწყუს, ქარელის, საგარეჯოს რაიონის გომბორის, გალის, სოხუმის სკოლების და გეგეჭკორის, კასპის, წითელწყაროს, გუდაუთის რაიონის კალდახვარის სკოლა-ინტერნატების შშენებლობა.

რიგ ქალაქებში (რუსთავი, ფოთი, ბათუმი, სტალინირი) სასკოლო შენობების სიმწიროვის გამო არ არის გახსნილი გახანგრძლივებული დღის სკოლები და ჯგუფები.

მუშა-ახალგაზრდობის სკოლების დიდ რაოდენობას არა აქვს საკუთარი შენობები, რის გამოც ვერ ხერხდება ცვლის სკოლების გახსნა. რესპუბლიკაში არსებული 136 მუშა-ახალგაზრდობის სკოლიდან ცვლიან მეცადინეობაზე გადაყვანილია მხოლოდ 12 სკოლა. ეს კი აფერხებს მუშა-ახალგაზრდობის მთლიანად ჩაბმას სწავლებაში.

რიგ საწარმოებში (გორის საკონსერვო, სამტრედიის მექანიკური, ჩიტატაფონის ფეროშენადნობთა ქარხნები, სტალინირის რაიონის ქსუისის სარემონტო ტექნიკური სადგური და სხვ.) სასწავლო საწარმოო ბაზები კეთილმოუწყობელია: არ არის საკმაო რაოდენობით გამოყოფილი სამუშაო ადგილები, მოსწავლეები არ არიან უზრუნველყოფილი სპეციტანსაცმლით, მოუგვარებელია კვების ორგანიზაცია, ზოგიერთი სკოლა არ არის უზრუნველყოფილი საწარმოო სწავლებისათვის აუცილებელი სამუშაო მასალებით.

ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთა მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში არ ემსახურება მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და საწარმოო სწავლების ამოცანებს. მოსწავლეები სასწავლო საათებში გაჰყავთ სამუშაოზე, რაც საგრძნობლად სცემს მოსწავლეთა ცოდნის დონეს და უარყოფით გავლენას ახდენს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაზე.

ზოგიერთ სკოლაში სასწავლო სახელოსნოები მოთავსებულია შეუფერებელ ბინაში, დაზგები, ჩარხები და სხვა დანადგარები მოძველებულია და არ აკმაყოფილებენ შრომითი აღზრდის მოთხოვნილებას. არის შემთხვევები, როდესაც პროფესიის შერჩევა ხდება სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებისა და რაიონის ეკონომიკის პერსპექტივის გაუთვალისწინებლად.

არ არის გამოცემული საწარმოო სწავლების საგნების სახელმძღვანელოები, დამხმარე და მეთოდური ლიტერატურა.

საწარმოო სწავლებაზე გადასვლის შემდეგ ზოგიერთმა სკოლამ ერთგვაროვად შეანელა ყურადღება ზოგადსაგანმანათლებლო საგნების სწავლებისადმი.

ბოგდანოვკის, ახალქალაქის, ახმეტის, ცხაკაიას, ხობისა და სხვა რაიონებში არ სრულდება მთავრობის დადგენილება სოფლის მასწავლებელთა უფასო

კომუნალური (ბინა, გათბობა, განათება) მომსახურებით უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) უზრუნველყონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების განუხრელად განხორციელება, სკოლის ასაკის ყველა ბავშვისა და მოზარდის სწავლებაში ჩაბმა და მოსწავლეთა მთლიანი კონტიგენტის შენარჩუნება;

ბ) საჭირო ღონისძიებანი გაატარონ საყოველთაო სწავლების ფონდის გაძლიერებლად და ხელმოკლე მოსწავლეებისათვის მატერიალური დახმარების აღმოსაჩენად; უზრუნველყონ სკოლიდან შორს მცხოვრებ მოსწავლეთა რეგულარული მიყვანა სკოლაში და სკოლიდან წაყვანა უფასოდ. შექმნან სასკოლო ინტერნატებში მცხოვრებ ბავშვთათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო-კულტურული პირობები;

გ) რვაწლიან სავალდებულო სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით, შვიდწლიან სკოლებთან მერვე კლასების გახსნის მიზნით, შექმნან სათანადო ბაზა (არსებულ შენობებზე მიშენება, დაშენება, სასწავლო კაბინეტებისა და სახელოსნოების მოწყობა, შეავსება და სხვ.);

დ) ყველა ღონისძიება გაატარონ მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის საჭირო ბაზების შესაქმნელად;

ე) გადამჭრელი ზომები მიიღონ სკოლებში მრავალცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაციისათვის; ყოველმხრივ წაახალისონ მოწინავე კოლმეურნეობათა თაოსნობა საკუთარი სახსრებით სკოლების, სკოლა-ინტერნატების, სასწავლო სახელოსნოებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის, აგრეთვე არსებული შენობების სკოლებისათვის გადაცემის შესახებ; ქმედითი ზომები მიიღონ სხვა უწყებებისა და მობინადრეთა მიერ დაკავებული სასკოლო შენობების ოთახების გასათავისუფლებლად და სკოლებისათვის დასაბრუნებლად;

ვ) სათანადო პირობები შექმნან წარმოებებში მომუშავე ახალგაზრდობის კულტურულ-ტექნიკური და ზოგადსაგანმანათლებლო ცოდნის დონის ასამაღლებლად; მიაღწიონ საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების საკუთარი სასკოლო შენობებით, კაბინეტ-ლაბორატორიებით უზრუნველყოფას და ნორმალური სასწავლო მუშაობისათვის საჭირო პირობების შექმნას;

ზ) უზრუნველყონ სოფლის მასწავლებელთათვის მთავრობის დადგენილებით გათვალისწინებული უფასო კომუნალური მომსახურება ნატურით (ბინა, გათბობა, განათება).

2. დაევალოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, საქართველოს სსრ მშენებლობისა და განათლების სამინისტროებს, უზრუნველყონ სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო დაწესებულებათა მშენებლობის გეგმების დროულად და მაღალხარისხოვნად **შესრულება.**

3. დაევალოს ცეკავშირის გამგეობასა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მმართველობა სამმართველოს საკოლმეურნეო მშენებლობისათვის გამოყოფილი ფონდიდან პირველ რიგში უზრუნველყონ საშენი მასალებით ის კოლმეურნეობები, რომლებიც საკუთარი სახსრებით აწარმოებენ სკოლებისა და სკოლა-ინტერნატების მშენებლობას.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) საჭირო ღონისძიებანი გაატაროს სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გასაუმჯობესებლად, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყოველმხრივ განვითარებული, კომუნიზმის იდეებით გამსჭვალულ და პრაქტიკული საქმიანობისათვის მომზადებულ ადამიანთა აღზრდა;

ბ) უზრუნველყოს საწარმოო სწავლების სკოლები სახელმძღვანელოებით, სასწავლო-მეთოდური ლიტერატურით და თვალსაჩინოების მასალებით;

გ) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი საწარმოო სწავლების სკოლებისადმი, ქმედითი ღონისძიებანი გაატაროს ამ ტიპის სკოლების მუშაობის გასაუმჯობესებლად;

დ) მაქსიმალურად უზრუნველყოს სკოლები სასწავლო კაბინეტებით, ხელოსნობებით და თვალსაჩინოების აუცილებელი მასალებით;

ე) სკოლების წინაშე დასმული ახალი ამოცანების შესაბამისად გააძლიეროს მუშაობა მასწავლებელთა პროფესიულ-პედაგოგიური კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

5. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროებმა უზრუნველყონ საწარმოო სწავლების სკოლები კეთილმოწყობილი სასწავლო საამქროებით, მოსწავლეთა სამუშაო ადგილებით, თეორიული სწავლებისათვის კლას-ოთახებით და შეუქმნან მოსწავლეებს ყველა პირობა ნორმალური მეცადინეობისა და მუშაობისათვის; უზრუნველყონ ისინი კვებით, სპეცტანსაცმლით, ინდივიდუალური კარადებით; ზუსტად დაიცვან უსაფრთხოების ტექნიკა და სანიტარული წესები.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას:

ა) გამოუყოს განათლების სამინისტროს დაზგების, ჩარხებისა და სხვა დანადგარებისა და მასალების ფონდები სასწავლო-საწარმოო სახელოსნოების მოსაწყობად და ხელგარჯილობის სწავლებისათვის;

ბ) სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროებთან ერთად შეისწავლონ და დაახუსტონ (რაიონებისა და ქალაქების მიხედვით) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებში უახლოეს 10 წლის განმავლობაში დასასაქმებლად საჭირო სპეციალისტებისა და კვალიფიციური მუშების მოთხოვნილება და ამის მიხედვით მოხდეს პროფესიული მომზადების პროფილების შერჩევა სკოლებისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

217 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიები გარკვეულ მუშაობას ეწევიან მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების, სანიტარული წესრიგის დამყარების, მშრომელთა სოციალური უზრუნველყოფისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისია კარგად იყენებს მინიჭებულ უფლებებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მშრომელთა დეპუტატების ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიები, რომლებიც რეგულარულად იხილავენ აქტუალურ საკითხებსა და ხელს უწყობენ შესაბამის განყოფილებებს მუშაობაში. საანგარიშო პერიოდში თვითეული ამ კომისიის მიერ შესწავლილი და განხილულია 13—15 საკითხი, რომელთა უმრავლესობა განსახილველად არის შეტანილი აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე. მაგალითად მათ მიერ მომზადებული და აღმასკომის სხდომაზე გატანილ იქნა მესამე ჯგუფის ინვალიდთა სამუშაოზე მოწყობის, საფოსტო განყოფილებების მიერ პენსიონერთა მომსახურების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და სხვა საკითხები. საკითხების შემოწმებაში კომისიების წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებს საბჭოს აქტივი. აღმასკომის სხდომებისათვის საკითხებს პერიოდულად ამზადებს აგრეთვე მცხეთის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის მუდმივი კომისია.

ამასთან ერთად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებანი.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ზოგიერთი მუდმივი კომისია არ ამოწმებს რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებულ საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობას და სათანადოდ არ ეხმარება მათ მოვალეობის შესრულებაში. არ ახორციელებს სათანადო კონტროლს პენსიების დანიშვნის საქმისადმი, რის შედეგადაც ზოგიერთ რაიონში და ქალაქში ადგილი აქვს პენსიების არასწორად დანიშვნას. საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების უპასუხისმგებლობის შედეგად ადგილი ჰქონდა ინვალიდობის ჯგუფების არასწორად განსაზღვრასა და ამის საფუძველზე პენსიების უკანონოდ დანიშვნის შემთხვევებს. ჩატარებული შემოწმების

საფუძველზე 1959 წელს და 1960 წლის დასაწყისში რესპუბლიკაში გამოვლინებულ იქნა 350 შემთხვევა პენსიების ზედმეტად გაცემისა 550 ათასი მანეთის რაოდენობით და 110 შემთხვევა შემცირებული პენსიების გაცემისა 68 ათასი მანეთის რაოდენობით. აღნიშნულ ფაქტებს ადგილი ჰქონდა თერჯოლის, ზესტაფონის, ხობის, კასპის, აბაშის, ბოლნისისა და ქ. თბილისის რიგ რაიონებში.

ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიები ზოგჯერ ყურადღებას არ აქცევენ პენსიონერთა და ინვალიდთა შორის მუშაობის საკითხებს. მთელი ორი წლის მანძილზე გორის, თერჯოლის, ზესტაფონის, კასპის, ხობის რაიონული და გორის საქალაქო საბჭოების მუდმივ კომისიებს არც ერთხელ არ განუხილავთ პენსიონერთა და ინვალიდთა საყოფაცხოვრებო პირობებთან დაკავშირებული საკითხები, მაშინ როცა აღნიშნულ რაიონებში ამ დარგში ყველაფერი რიგზე არ არის.

ნაკლოვანებები არსებობს აგრეთვე საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების ორგმასობრივ მუშაობაშიც. ზოგიერთ მუდმივი კომისია იშვიათად ატარებს თავიანთ სხდომას, არა აქვს შედგენილი სამუშაო გეგმა, არ აბარებს ანგარიშს შესაბამის საბჭოს სესიას და იშვიათად ამზადებს საკითხებს სესიის ან აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად.

არჩევნების დღიდან არც ერთი სხდომა არ ჩაუტარებია ქ. თბილისის კიროვისა და ადგენის რაიონული საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ კომისიებს. გასული ორი წლის მანძილზე კომისიის სხდომები არ ჩაუტარებია აგრეთვე ხაშურის რაიონის ოსიაურისა და ქარელის რაიონის ზემო ხვედურეთის სასოფლო საბჭოების ჯანმრთელობის დაცვის მუდმივ კომისიებს.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან არსებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის 612 მუდმივი კომისიიდან ორი წლის მანძილზე ანგარიში არ ჩაუბარებია შესაბამის საბჭოებისათვის 400-ზე მეტ კომისიას.

ხაშურისა და ქარელის რაიონების მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოებისა და ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონული საბჭოს ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი მუდმივი კომისია აჭარბებს თავის უფლებამოსილებას და დამავალდებულებელი გადაწყვეტილებები გამოაქვს, ხოლო ზოგჯერ ჯარიმებსაც კი აწესებს. ასე მაგალითად, ქარელის რაიონის რუისის სასოფლო საბჭოს მუდმივმა კომისიამ დაწესა 100 მანეთი ჯარიმა მოქალაქეთა მიერ სანიტარული წესრიგის დარღვევისათვის.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს სერიოზული ყურადღება მიაქციონ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივი კომისიების მუშაობას, რისთვისაც:

ა) პერიოდულად ჩაატარონ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეების და მდივნების საინსტრუქტაჟო თათბირები მათი მუშაობის პრაქტიკულ საკითხებზე და ფართოდ გააცნონ მათ მუშაობის კომისიების დებულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობანი;

ბ) დაეხმარონ მუდმივ კომისიებს საკითხების მომზადებაში და მათ საქმიანობაში მშრომელთა ფართო აქტივის ჩაბმაში, ამასთან პერიოდულად მოისმინონ მათი მოხსენებები და თანამოხსენებები სესიებსა და აღმასკომების სხდომებზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუდმივ კომისიებს:

ა) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საექიმო-შრომითი საექსპერტო კომისიების მუშაობას და პენსიების დანიშვნის სისწორეს, კომისიის სხდომებზე რეგულარულად მოისმინონ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოების მუშაობის ისეთი საკითხები, რომლებიც შეეხება პენსიების დანიშვნას, ინვალიდთა და პენსიონერთა საყოფაცხოვრებო პირობებსა და ინვალიდობის ჯგუფების განსაზღვრას;

ბ) მტკიცედ დაიცვან კომისიის სხდომების ჩატარების დებულებით დადგენილი ვადები. საკითხების შესწავლა-მომზადებაში და განხილვაში ფართოდ ჩააბან კომისიების წევრები და საბჭოს აქტივი;

გ) უზრუნველყონ კვარტალური სამუშაო გეგმების შედგენა და ამ გეგმით დასახული ღონისძიებების გათვალისწინებულ ვადაში შესრულება;

დ) პერიოდულად გამოვიდნენ მოხსენებებით და თანამოხსენებებით საბჭოს სესიასა და აღმასკომის სხდომებზე, მტკიცედ დაიცვან დებულების მოთხოვნა სესიების წინაშე ანგარიშების ჩაბარების შესახებ.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ადგილობრივი საბჭოების მუდმივი კომისიების მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას და ამ დადგენილებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

218 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერების შესახებ

მოისმინა რა საქართველოს სსრ პროკურორის ამხ. მ. ე. თოფურიძის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასრულებელი კომიტეტების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და განკარგულებები ძირითადად შეესაბამებიან მოქმედ კანონმდებლობას.

მიუხედავად ამისა მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭო და მათ აღმასკომი ზუსტად არ იცავს მოქმედ კანონმდებლობას და არ ასრულებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 11 ივლისის დადგენილებას, რის გამოც გამოაქვს გადაწყვეტილებები და განკარგულებები, რომლებიც კანონსაწინააღმდეგოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, ახალქალაქის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომმა 1960 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით ქალაქში წესრიგის დარღვევისათვის დააწესა ჯარიმა 100 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა 6 თვემდე, მაშინ, როდესაც მას უფლება ჰქონდა დაეწესებინა ჯარიმა მხოლოდ 50 მანეთამდე ან იძულებითი მუშაობა 15 დღემდე.

ქარელის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომმა 1959 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილებით დააწესა იმ პირთა 300 მანეთამდე დაჯარიმება, რომლებიც ეზოებში, ქუჩებსა და მოედნებზე დაარღვევენ სანიტარულ წესებს, ნაცვლად 50 მანეთამდე ჯარიმისა ან 15 დღით იძულებითი მუშაობისა.

მესტიის რაიონის სოფელ ფარის მოსახლეობის საერთო კრებამ 1959 წლის 14 თებერვლის დადგენილებით დაკრძალვის დროს ძველ მახინჯ ჩვეულებათა და რელიგიურ წესთა გამოყენებისათვის დააწესა ჯარიმა 3000 მანეთის ოდენობით.

ლენინგორის მშრომელთა დეპუტატების სადაბო საბჭოს აღმასკომის 1960 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებით დაწესებულ იქნა ჯარიმა 50 მანეთიდან 150 მანეთამდე იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავის დროზე არ გაატარებენ ახალშობილ ბავშვებს მმაჩის ორგანოების რეგისტრაციაში, მაშინ როდესაც აღნიშნული საკითხი წესრიგდება საქართველოს სსრ საქორწინო, საოჯახო და სამეურნეო კანონთა კოდექსის 132 მუხლით და სათანადო ინსტრუქციით.

ზემოაღნიშნული ხასიათის დარღვევები დაშვებულია ასევე ქარელის რაიონის დირბის სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1959 წლის 19 იანვრის, გეგეჭკორის რაიონის სალხინოს სასოფლო საბჭოს სესიის 1959 წლის 24 აპრილის, ხაშურის რაიონის სოფელ ტკოცას, ზემო ოსიაურის და ხელისუფლების სხვა ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებში.

ცალკეულ შემთხვევებში ადგილი აქვს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არასწორი გადაწყვეტილებებით მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების შეზღუდვას. მაგალითად, გუდაუთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 1960 წლის 10 მარტის სავალდებულო გადაწყვეტილებით ახალი ათონის მთელ ტერიტორიაზე აკრძალა ქათმისა და პირუტყვის შენახვა, ხოლო მიმდინარე წლის 25 მაისის გადაწყვეტილებით წინადადება მისცა ოთხ მოქალაქეს ერთი თვის ვადაში გაეყიდათ საკუთარი პირუტყვი, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებას „საქართველოს სსრ ქალაქებსა და მუშათა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ მოქალაქეთა პირადი საკუთრების პირუტყვის შენახვის აკრძალვის შესახებ“; გურჯაანის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებულმა ადმინისტრაციულმა კომისიამ 1959 წლის 6 მაისის დადგენილებით 300 მანეთით დააჯარიმა მოქ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ბერიაშვილი და ჩამოართვა მას საკოლმეურნეო ბაზარში სარეალიზაციოდ გამოტანილი ათი ცალი სკამი.

ზოგიერთ შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომების მიერ ადგილი აქვს დისციპლინური წესით დასჯის არასწორ პრაქტიკას, რაც ეწინააღმდეგება დისციპლინურ სასჯელთა მოქმედ კანონმდებლობას.

არის შემთხვევები, როდესაც მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები თავიანთი არასწორი გადაწყვეტილებებით არღვევენ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებას.

შემოწმებით დადგენილია აგრეთვე, რომ რაისაბჭოს აღმასკომების ზოგიერთი განკარგულებები არ შეესაბამებიან კანონის მოთხოვნას. მაგალითად, ლენტეხის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის 1960 წ. 7 აპრილის № 18 განკარგულებით აღმასკომის საერთო განყოფილების გამგეს ბ. გულბიანს შეუთავსდა რაიაღმასკომის ინსტრუქტორის თანამდებობა სრული განაკვეთით.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ზოგიერთ აღმასკომს სათანადო დასკვნები არ გაუკეთებია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამ საკითხზე ადრე მიღებული დადგენილებებიდან და არ მიუღია ყველა საჭირო ღონისძიება ამ დადგენილებებში აღნიშნული შეცდომების აღმოსაფხვრელად და სოციალისტური კანონიერების განსამტკიცებლად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) განიხილონ ეს დადგენილება და მიიღონ გადამჭრელი ზომები მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, არ დაუშვან **მომავალში** კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების და განკარგულებების გამოტანის შემთხვევები და გაატარონ სათანადო ღონისძიებანი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის;

ბ) უმოკლეს დროში გადასინჯონ და სათანადო წესის დაცვით გააუქმონ სასოფლო, სადაბო და საქალაქო საბჭოების აღმასკომების მიერ მიღებული არასწორი გადაწყვეტილებები, შემდეგში სისტემატურად შეამოწმონ და განიხილონ მათ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერება;

გ) სავალდებულო გადაწყვეტილების გამოტანისას ზუსტად დაიცვან სრულიად საქართველოს ცაკისა და საქართველოს სახკომსაბჭოს 1931 წლის 17 სექტემბრის დადგენილებით გათვალისწინებული ნორმები და მტკიცედ იხელმძღვანელონ მომქმედი კანონებითა და ნორმატული ხასიათის აქტებით.

2. საქართველოს სსრ პროკურორმა ამხ. მ. ე. თოფურიძემ კიდევ უფრო გააძლიეროს ზედამხედველობა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა კანონიერებაზე და მიიღოს საჭირო ზომები

კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებების და განკარგულებების დროულ. გასაუქმებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

219 ქალაქ-კურორტ წყალტუბოს საზღვრების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება და ქალაქ-კურორტ წყალტუბოს პერსპექტიული განვითარებისა და მიწის ფართობის უფრო გეგმიანი წესით გამოყენების უზრუნველსაყოფად ქალაქის ფართობი განსაზღვროს 960 ჰექტარით, აქედან საკოლმეურნეო მიწები — 430,25 ჰექტარის რაოდენობით. მათ შორის სოფელ გუმბრის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მიწები — 154,9 ჰექტარი. სოფელ გვიშტიბის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მიწები — 83,40 ჰექტარი, სოფელ წყალტუბოს კიკვიძის სახელობის კოლმეურნეობის მიწები — 121,7 ჰექტარი და სოფელ ხომულის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მიწები — 70,25 ჰექტარი.

2. დადგინდეს ქალაქ-კურორტ წყალტუბოს ახალი საზღვრები (ქალაქის ფარგალი) შემდეგი აღწერილობით (რუკა 1 : 10000 მასშტაბისა თან ერთვის): საზღვარი იწყება რკინიგზის სადგურ თერნალიდან (ა), აქედან მიემართება დასავლეთისაკენ რკინიგზის ხაზის გაყოლებით და მიდის მის ნიშანსვეტამდე (ბ), გადაკვეთს მდინარე წყალტუბოს და ჩრდილოეთის მიმართულებით მიდის სოფელ გვიშტიბის დასახლების საწყისამდე (გ), აქედან იმავე მიმართულებით გადაკვეთს გვიშტიბის სასოფლო გზას (დ), მიდის პირდაპირი ხაზით წყალტუბო-გვიშტიბის გზის გადაკვეთამდე (ე), შემდეგ საზღვარი იმავე მიმართულებით ეშვება ლაშის ღელეში (ვ) და გაყვება ჩრდილოეთით ლაშის ღელეს მშრალი ხევის გადაკვეთამდე (ზ), შემდეგ საზღვარი გაუვლის წყალტუბოს სასაფლაოს დასავლეთის მხრიდან და გადაკვეთს წყალტუბოს — მეორე უბნის გზას (თ) — აქედან საზღვარი აღმოსავლეთის მიმართულებით გადაკვეთს წყალტუბო-ცხუნკურის გზას (ი) და ქვის კარიერის აღმოსავლეთით მდებარე გორაკის გადავლით მიდის სოფელ ხომულის დასახლების სამხრეთის სამიჯნო ნიშნამდე (კ), საიდანაც საზღვარი სწორი ხაზით მიდის სამხრეთით ვაზნარის ღელის გადაკვეთამდე (ლ) და ვაზნარის ღელის გაყოლებით მიდის წყალტუბო-ქუთაისის ძველი გზის გადაკვეთამდე (მ), შემდეგ საზღვარი მიჰყვება ვაზნარის ღელეს რუსთავის ქუჩის გადაკვეთამდე (ნ) და იმავე მიმართულებით გაყვება სოფელ გუმბრის სასოფლო გზას, გადაკვეთს თერნალი-გუმბრინის რკინიგზას და მიდის გუმბრის შვიდწლიანი სკოლის ჩრდილოეთით 250 მეტრის დაშორებით საცალფეხო გზის გადაკვეთამდე (ო), საიდანაც საზღვარი დასავლეთის მიმართულებით გაჰყვება

საცალფეხო გზას ძეხვის ქარხნამდე (ვ), აქედან სამი ტეხილი ხაზით ყველის-რძისა და ძეხვის ქარხნების ზღუდეებს და უერთდება ქალაქის საზღვრის [illegible]რილობის დასაწყისს (ა).

3. დადგინდეს, რომ ქალაქის საზღვრებში მოქცეული მიწები წარმოადგენენ ქალაქის მიწის ფონდს, გარდა კოლმეურნეობების მიწებისა, რომლებიც რჩებიან კოლმეურნეობების სარგებლობაში და რომელთა გაცემა ქალაქის განვითარებასთან დაკავშირებით ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა მოხდეს სათანადო მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1960 წლის 30 ნოემბერი.